საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაბუაწვერა

ბაბუაწვერა, ბურბუშელა (Taraxacum), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყავილოვანთა ოჯახისა.

აქვს მსხვილი ღონიერი ფესვი, ფესვის ყელთან როზეტად შეკრებილი ფოთლები და სწორი, შეუფოთლავი საყვავილე ღერო, რ-იც მარტოული კალათა ყვავილედით ბოლოვდება. 1000-მდე სახეობა გავრცელებულია ცივ და ზომიერ სარტყელში.

საქართველოში იზრდება 9 სახეობა, მათგან 4 კავკასიის ენდემია. გვხვდება მთის ქვედა სარტყლიდან მოკიდებული ალპ. სარტყლამდე, მშრალ ფერდობებზე, გაჩეხილ ტყეებში, მდელოებზე, როგორც სარეველა – ბაღებში, ფართოდაა გავრცელებული სამკურნალო ბ. (T. officinale), რ-ის ფესვსა და მიწისზედა ნაწილს ხმარობენ მედიცინაში მადის აღმძვრელ და ნაღველმდენ საშუალებად; ფესვი შეიცავს ინსულინს (25%-მდე), ფესვი და ფოთოლი-მწარე გლიკოზიდ ტარაქსაცინს; კარგი თაფლოვანი მცენარეა. ნორჩ ფოთლებს ამწნილებენ და მხალად ხმარობენ. მოხალული ფესვები ყავის სუროგატია.

ზ. შენგელია